

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA



მინისტრის
დირექტივები
Minister's
Directives | 2018



მინისტრის დირექტივები

2018

სარჩევი

შესავალი	4
თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	5
2018 წლის პრიორიტეტები	7
1. თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან	7
2. ტოტალური თავდაცვა	11
2.1. უწყებათაშორისი თანამშრომლობა	12
2.2. რეზერვი და მობილიზაცია	13
2.3. სავალდებულო გაწვევა	14
3. ინსტიტუციური განვითარება	15
3.1. სამხედრო განათლება	15
3.2. ადამიანური რესურსების მართვა	17
3.2.1. გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება	18
3.2.2. კეთილსინდისიერების ამაღლება და ანტიკორუფციული გარემოს გაძლიერება	18
3.3. თავდაცვის რესურსების მართვა	19
3.4. კიბერუსაფრთხოება	21
4. თავდაცვის შესაძლებლობები	21
4.1. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP)	22
4.2. საჰაერო თავდაცვა	23
4.3. საჰაერო-სატრანსპორტო შესაძლებლობების გაუმჯობესება	23
4.4. ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები	23
4.5. საინჟინრო შესაძლებლობები	24
4.6. დაზვერვა	24
4.7. არტილერია	24
4.8. სპეციალური ოპერაციების ძალები	25
4.9. მართვა, კონტროლი, კავშირგაბმულობა და კომპიუტერული სისტემები	25
5. ლოგისტიკა და ინფრასტრუქტურა	25
5.1. ლოგისტიკური მხარდაჭერა	26
5.2. ინფრასტრუქტურული პროექტები	26
6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მხარდაჭერა	26
7. საერთაშორისო თანამშრომლობა	27
7.1. საერთაშორისო ორგანიზაციები	27
7.2. საერთაშორისო წვრთნები	29
7.3. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა	30
დასკვნა	33

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიმართვა

საქართველო განაგრძობს დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებებისა და თავისუფლების დაცვას და ერთგულია წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემის, რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ვაშენებთ. დემოკრატიული არჩევანი ჩვენი ქვეყნის უდიდესი მონაპოვარია, რაც საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ ისეთი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს და ხელს უწყობს საქართველოს დასავლური ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.



ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები რისკის ქვეშ აყენებს საქართველოს სუვერენულ არჩევანს. აღნიშნული საფრთხეები სცდება რეგიონულ მასშტაბებს და გლობალური უსაფრთხოების გამოწვევასაც წარმოადგენს. უსაფრთხოების არსებული გამოწვევების ფონზე, ჩვენი ვალია განვაძტვიცოთ თანამშრომლობა დასავლელ პარტნიორებთან და გავაღრმაოთ არსებული ურთიერთობები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. საქართველო ნატოს დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების ერთგული რჩება, განსაკუთრებით კი იმ მიზნებისა, რომელიც კოლექტიური ძალების შეკავების ფაქტორის გაძლიერებას და ეროვნული თავდაცვის მდგრადობის გაუმჯობესებას გულისხმობს.

ქვეყნის მდგრადობა შეკავების მნიშვნელოვანი ფაქტორი და მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სასიცოცხლო ელემენტია. სწორედ ამ მიზნით, დავიწყეთ თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი, რომელშიც უელსისა და ვარშავის სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ვხელმძღვანელობთ.

ტრანსფორმაციის პროცესში ჩვენი მიზანია, სამხედრო განათლების, სამხედრო წვრთნებისა და სწავლებების ეფექტიანი სისტემის დანერგვით, საერთაშორისო პროექტების, განსაკუთრებით SNGP-სა და GDRP-ის სინქრონიზებით, საერთაშორისო მისიებში მიღებული გამოცდილებით, თავდაცვისთვის ეროვნული რესურსების მობილიზებით, ადეკვატური დაფინანსებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებით მოვახდინოთ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის გაძლიერება, შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის გაზრდა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა.

ლევან იზორია

შესავალი

„მინისტრის დირექტივები 2018“ თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბისა და დაქვემდებარებული ქვედანაყოფების სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომელიც ყოველწლიურად ახლდება და ასახავს მოკლევადიანი დაგეგმვის ღონისძიებებს 2018 წლისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად. დოკუმენტით დაგეგმილი ღონისძიებები შესაბამისობაშია „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“-ის რეკომენდაციებთან და „თეთრი წიგნი 2017-2020“-ის სტრატეგიულ მიმართულებებთან.

დოკუმენტი უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში შეიარაღებული ძალებისათვის განსაზღვრული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ეტაპობრივ განხორციელებას და ხელს უწყობს ტრანსფორმაციის პროცესში თავდაცვის სისტემაში გამოვლენილი ხარვეზების დაძლევას. მისი საბოლოო მიზანია ეფექტიანი, მობილური, თანამედროვე და ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

გასულ წელს მიღწეული პროგრესის კვალდაკვალ, გრძელდება საქართველოს თავდაცვითი პოტენციალის გაუმჯობესება „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება ხორციელდება ერთიანი სახელისუფლებო ხედვის ფარგლებში, სადაც სათანადო ყურადღება ენიჭება უწყებათშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას.

2017 წელს განხორციელებული სტრუქტურული ოპტიმიზაციის და რეორგანიზაციის შედეგად დაზოგილი მატერიალური რესურსები მოხმარდება თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას. ყურადღება გამახვილდება ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინიციატივის - „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის“ (GDRP) განხორციელებაზე, რომელიც ამერიკული მხარის აქტიური დახმარებითა და ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ეტაპობრივად გაგრძელდება რეგერვისა და მობილიზაციის სისტემის, ასევე სავალდებულო სამხედრო სამსახურის თვისობრივი გაუმჯობესება. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის ღონის ამაღლებას.

თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები


საქართველოს უსაფრთხოების გარემოს კომპლექსური ხასიათი აქვს. საქართველოს უსაფრთხოებაზე და ზოგადად, ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს, როგორც რეგიონში, ისე გლობალურ დონეზე მიმდინარე პროცესები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოების რისკებისა და გამოწვევების ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ ჭრილში გააზრება.

საქართველოს უსაფრთხოების გარემო მოწყვლადია რამდენიმე ფაქტორის გამო. რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, მილიტარიზაცია და ე.წ. სამეკავშირეო ხელშეკრულებების გაფორმება დე ფაქტო მთავრობებთან, პირდაპირი დარტყმის ქვეშ აყენებს ქვეყნის უსაფრთხოებას. ყირიმის ანექსიამ განსაკუთრებით გააზრდა ვითარება შავი ზღვის რეგიონში. ხოლო უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული კონფლიქტის, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტები, უკონტროლო მიგრაციული პროცესები, საერთაშორისო ტერორიზმი და კიბერსაფრთხოების ზრდა დამატებით ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე.

რუსეთის ფედერაციის აგრესიულმა, რევიზიონისტულმა პოლიტიკამ საფრთხე შეუქმნა ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურასაც. ამან განაპირობა როგორც ალიანსის წევრთა, ისე ნატოს პარტნიორთა მიერ საკუთარი თავდაცვის სისტემის გადახედვის საჭიროება. საქართველოს თავდაცვის ორგანიზების ახლებური გააზრებისა და მოწყობის საჭიროება ნაკარნახევაა, როგორც ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციით, ისე რეგიონის წინაშე მდგარი გამოწვევებიდან გამომდინარე.

არსებული უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე, საქართველო, შეკავების ფაქტორის გაძლიერების მიზნით, აგრძელებს თანამშრომლობას დასავლელ პარტნიორებთან და კიდევ უფრო მეტად აღრმავებს ურთიერთობებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან სრული გაწევრიანების მისაღწევად. ამ პროცესში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმთავრეს მიზანს საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლება და ნატოსთან თავსებადობის გაზრდა წარმოადგენს. შეკავების შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის, თავდაცვის სამინისტრო ნატოს ვარშავისა და უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებებითა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული პრინციპებით ხელმძღვანელობს, რაც ერთი მხრივ ქვეყნის მდგრადობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნის დონის ამაღლებას გულისხმობს.

მდგრადობისა და მზადყოფნის დონის ამაღლებასთან ერთად, ქვეყნის შეკავების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ქვეყნის თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის პროცესში „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომა წარმოადგინა. ტოტალური თავდაცვის მთავარი მიზანი არსებული საფრთხეებისა და შემლუდული რესურსების პირობებში, უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს. მიდგომა გულისხმობს სახელმწიფო რესურსების კოორდინირებულ და ეფექტურ გამოყენებას და პასუხისმგებლობების და მოვალეობების გადანაწილებას სამხედრო



ძალეს, სახელმწიფო უწყებებსა და მოსახლეობას შორის ქვეყანაზე სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში. ახალი მიდგომა არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებზე ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობასა და მდგრადობისა და თავდაცვისუნარიანობის ამოღების გზით ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას იძლევა.

საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე საპასუხოდ, ტოტალური თავდაცვის მიდგომის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტრატეგიული კომუნიკაციების გაუმჯობესებას. რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული ომის მეთოდების, განსაკუთრებით კი პროპაგანდის გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყანას. ამაზე საპასუხოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2018 წელსაც აქტიურად გააგრძელებს სტრატეგიული კომუნიკაციების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რაც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო უწყებების ერთიანი, კოორდინირებული ხედვის კომუნიკაციას თავდაცვისუნარიანობის მნიშვნელობის შესახებ; საქართველოს, როგორც ნატოს, ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების სანდო პარტნიორის, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში მონაწილე ქვეყნის იმიჯის გაძლიერებას; საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე მიღწეული პროგრესის კომუნიკაციას. ამასთან, 2018 წელს, თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს სხვადასხვა ენოვრენული თუ საერთაშორისო სწავლების ორგანიზებას ტოტალური თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, რაც ასევე მოიცავს ღონისძიებებს სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით.

2018 წლის პრიორიტეტები

1. თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან

საქართველო განაგრძობს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს, რომელიც ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს ნატოსთან აქტიურ თანამშრომლობას ყველა არსებული მექანიზმის (ნატო-საქართველოს კომისია (NGC), წლიური ეროვნული პროგრამა (ANP), ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (PARP)) გამოყენებით. ეს ყველაფერი ემსახურება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მდგრადობის და მზადყოფნის დონის ამაღლებას, ალიანსთან თავსებადობის გაზრდას და ხელს უწყობს ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მოსამზადებელ პროცესს.



2018 წელს საქართველო უმასპინძლებს ნატოს მაღალი დონის ვიზიტებსა და სამუშაო შეხვედრებს. ბოლო დროს მათი რიცხვის ზრდა მეტყველებს ალიანსის ქართულ მხარესთან უწყვეტ ჩართულობაზე და გამოხატავს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ. ამის ნათელ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ნატოს სამხედრო კომიტეტის მეორე ვიზიტი საქართველოში, რომელიც 2017 წლის მარტში განხორციელდა. აღნიშნულ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში, განსაკუთრებით რეგიონის უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევების ფონზე.

2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) გახდა ალიანსის მიერ საქართველოს მხარდაჭერის ერთ-ერთი ძირითადი პრაქტიკული ინსტრუმენტი. SNGP-ის ფარგლებში განსაზღვრული ინიციატივების განხორციელების პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს

28 ნატოს წევრი და ორი პარტნიორი ქვეყნის მაქსიმალური ჩართულობა წარმოადგენს. 2017 წელს SNGP-ის ფარგლებში თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ნდობის ფონდიდან (DCB Trust Fund) ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის (JTEC) განვითარებისთვის ფინანსური რესურსი გამოყოფილია დანიამ, გერმანიამ, იტალიამ, ლიტვამ, ნორვეგიამ, პორტუგალიამ, თურქეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ. არანაკლებ მნიშვნელოვანია გერმანიის ფინანსური დახმარება კონტრ-მოზილურობის შესაძლებლობების განვითარების მხარდასაჭერად. ასევე აღსანიშნავია გერმანიის, ლუქსემბურგის, მონტენეგროს, თურქეთისა და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსური მხარდაჭერა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIB), ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკისა და გერმანიის დახმარება სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და უსაფრთხო კომუნიკაციების მიმართულებით.



ვინაიდან არსებითი პაკეტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება წარმოადგენს პრიორიტეტს ეროვნულ დონეზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაწერა მისი განხორციელების ყოვლისმომცველი, ინსტიტუციური მიდგომა, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო ინსტიტუტების აქტიურ ჩართულობას. არსებითი პაკეტის ინიციატივების განხორციელების პროცესში თავდაცვის სამინისტრომ დაამკვიდრა თვისობრივად ახალი პრაქტიკა, რაც გულისხმობს საერთაშორისო დახმარების (ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატები) ეროვნულ ძალისხმევასთან ჰარმონიზაციას/სინქრონიზაციას, არსებული რესურსების რაციონალურად ათვისების, ინიციატივების ჯეროვნად შესრულებისა და ზოგადად, პაკეტის განხორციელების პროცესის ეფექტურად მართვის მიზნით. ამისათვის, 2017 წლის გაზაფხულზე სამინისტრომ პირველად ჩაატარა SNGP სინქრონიზაციის სემინარი, რომელმაც დადებითი გამოხმაურება მიიღო საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტრო გეგმავს აღნიშნული პრაქტიკის კიდევ უფრო გაფართოებას და არსებითი პაკეტის კონფერენციის ჩატარებას ნატოს მომავალ სამიტამდე.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორიაში, არსებითი პაკეტი წარმოადგენს ყველაზე კომპლექსურ, და ამასთანავე ყველაზე მოქნილ მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა, ალიანსის მხარდაჭერა და დახმარების ფორმატი იყოს მორგებული ეროვნულ საჭიროებებზე, რაც ემსახურება ნატოსთან თავსებადობის კიდევ უფრო ამაღლებას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და მდგრადობის განმტკიცებას.

აღნიშნული მიდგომის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ინგლისური ენის შესაძლებლობების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა. ქართული მხარის საჭიროებიდან გამომდინარე, ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან აქტიური თანამშრომლობით, უკვე დაიწყო მუშაობა არსებული შესაძლებლობების შეფასებაზე, და შემდგომი განვითარებისთვის ინსტიტუციური მიდგომის ჩამოყალიბებაზე.



აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს ახალი ხედვის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს არსებითი პაკეტის ინიციატივების ვადებისა და ამოცანების ქართული მხარის საჭიროებებზე მორგებას, 2017 წელს წარმატებით დასრულდა სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის პროექტი. პროექტი მიზნად ისახავდა ნატოს პროცედურებისა და დაგეგმვის პროცესის გამოყენებას ეროვნულ დონეზე სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის მიმართულებით, რაც საქართველოს ნატოსთან თავსებადობის კიდევ უფრო ამაღლებას ემსახურება.

თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს პაკეტით განსაზღვრული დარჩენილი თოთხმეტი ინიციატივის განხორციელებას ეროვნული ძალისხმევის მაქსიმალური გაზრდითა და ნატოს შესაბამისი სტრუქტურების, მოკავშირეებისა და პარტნიორი ქვეყნების დახმარებით.

ამასთან, საქართველო, როგორც ნატოს სტრატეგიული მოკავშირე და რეგიონის ერთადერთი ასპირანტი ქვეყანა, გააგრძელებს ალიანსთან თანამშრომლობას შავი ზღვის

რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად შეიმუშავა კონკრეტული ინიციატივები, რომელზეც ამჟამად აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან ერთად. ეს ყველაფერი ემსახურება საქართველოს ჩართულობის გაძლიერებას ალიანსის ძალისხმევაში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით და ზრდის ჩვენი ქვეყნის როლს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცების პროცესში.

თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს პოლიტიკურ დიალოგსა და სტრატეგიულ მოლაპარაკებებს ნატოს გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობის (EOP) ფორმატში. თავდაცვის სამინისტრო განიხილავს კონკრეტული ნაბიჯების ინიცირებას EOP სახელმწიფოებთან აღნიშნული ფორმატის ფარგლებში პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

ამასთან, საქართველო აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას ალიანსის პარტნიორ სახელმწიფოებთან სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. 2018 წლის განმავლობაში, საქართველო გეგმავს ურთიერთობის გაღრმავებას უკრაინასთან ნატოსთან წარმატებული თანამშრომლობისა და ამ კუთხით მიღებული გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. შესაბამისად, პირველად, 2018 წელს, თავდაცვის სამინისტრო მოიაზრებს აღნიშნულ პარტნიორ ქვეყანაში ნატოს მხარდაჭერისა და შესყიდვების სააგენტოს (NSPA) პროექტში მონაწილეობას, როგორც კონტრიბუტორი სახელმწიფო.

საქართველო, როგორც სანდო პარტნიორი და ნატოს მომავალი წევრი ქვეყანა, გააგრძელებს ალიანსის მხარდაჭერას საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ამჟამად საქართველოს შეიარაღებული ძალების 870 სამხედრო მოსამსახურე ავღანეთში ნატოს გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში (RSM) მონაწილეობს, რაც საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორი ქვეყნის სტატუსს ანიჭებს.



ამასთან, ერთი ქართული ასეული ჩართულია ნატოს რეაგირების ძალებში 2015-2018 (NRF), მეორე ასეული კი ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამას გადის. შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, 2019 წლიდან ნატოს რეაგირების ძალებში (NRF) სხენებული ასეული ჩაანაცვლებს ნატოს რეაგირების ძალებში 2015-2018 წლებში მონაწილე ასეულს.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სისტემაში ინიცირებული და მიმდინარე ინსტიტუციური რეფორმების წარმატებით განხორციელება, თავდაცვის შესაძლებლობების თანმიმდევრული განვითარება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილი დადებითად ფასდება ალიანსის მიერ, რაც თავისთავად ამყარებს საქართველოს, როგორც ნატოს სტრატეგიული პარტნიორისა და სრულფასოვანი მომავალი წევრის პოზიციებს.

2. ტოტალური თავდაცვა

სტრატეგიულ დონეზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ განსაზღვრული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესაბამისად თავდაცვის პოლიტიკის წარმართვაა. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სხვადასხვა უწყებათაშორისი ფორმატის გამოყენებით მონაწილეობს ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

ტოტალური თავდაცვის მიდგომის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების კონცეპტუალურ ჩარჩოში ტოტალური თავდაცვის პრინციპების ასახვა და შესაბამისად, არსებული ჩარჩოს გადახედვა. 2018 წელს დაიწყება თავდაცვის სისტემისა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების ანალიზის პროცესი, რომლის შედეგები აისახება „ეროვნული თავდაცვის [სამხედრო] სტრატეგიაში“ (ეთს). სტრატეგია გახდება ქვეყნის ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ტოტალური თავდაცვის კონცეფციის გათვალისწინებით, მოიცავს შეიარაღებული ძალების მოქმედების პრინციპებს, გრძელვადიან სამომავლო ხედვას და განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებების ამოცანებს ეროვნული თავდაცვის უზრუნველსაყოფად.



2.1. უწყებათაშორისი თანამშრომლობა

ტოტალური თავდაცვის ორგანიზება შეუძლებელია გამართული უწყებათაშორისი კოორდინაციის გარეშე. ამდენად, არსებული საფრთხეებისა და შეზღუდული რესურსების პირობებში, უმნიშვნელოვანესია უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება სახელმწიფო რესურსების კოორდინირებული და ეფექტური გამოყენებისთვის. სამინისტროში შემუშავდა შიდაუწყებრივი „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის დოკუმენტი, რომელიც საერთო ეროვნული მიდგომის გამოყენებით, სამხედრო ელემენტთან ერთად, თავდაცვის ორგანიზების სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებს - სოციალურ, ეკონომიკურ, სამოქალაქო და ფსიქოლოგიურ-ინფორმაციულ სფეროებს მოიცავს. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს მთავრობის კოორდინირებული მოქმედების მექანიზმების დანერგვა, ძლიერი რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის ჩამოყალიბება და სავალდებულო სამხედრო სამსახურის ეფექტურობის გაზრდა. „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციაში მოცემული პრინციპები აისახება „ეროვნული თავდაცვის [სამხედრო] სტრატეგიაში“, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფაში ჩართული ყველა უწყების ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს.



უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს მონაწილეობას მნიშვნელოვან ერთობლივ სწავლებებსა და წვრთნებში. თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, გაცნობითი ხასიათის ვიზიტები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ჩართულ უწყებებს შორის უკვე დაიწყო. 2017 წელს თავდაცვის სამინისტრომ უმასპინძლა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს და უზრუნველყო სტრატეგიული დონის სამეთაურო-სამტაბო სწავლება „დიდგორი 2017“-ის ჩატარება. სწავლება ეროვნული თავდაცვის გეგმის შესაბამისად, კრიზისულ, საომარ და საგანგებო მდგომარეობის დროს უწყებათა ჩართულობას ითვალისწინებს და ორიენტირებულია თავდაცვის სამინისტროს სხვა უწყებებთან კოორდინაციისა და სტრატეგიული კომუნიკაციის

გაუმჯობესებაზე. „დიდგორი 2017“-ის წარმატებით დასრულების შემდეგ, თავდაცვის სამინისტრო გეგმავს, 2018 წელს, მორიგი სამეთაურო საშტაბო სწავლება „დიდგორი 2018“-ის ორგანიზებას, რომელშიც მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მონაწილეობას მაღალი თანამდებობის პირები მიიღებენ.

ტოტალური თავდაცვის სრულფასოვანი დანერგვისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აღრმავებს თანამშრომლობას სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში. 2018 წლის განმავლობაში გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები სკანდინავიის, ბალტიის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის (Nordic-Baltic-Georgia cooperation) საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის.

2.2. რეზერვი და მობილიზაცია

„ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის დანერგვის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის თვისობრივად გაუმჯობესების მიმართულებით. პირველი ნაბიჯები გადაიდგა 2017 წელს. მომზადდა სამხედრო ძალების რეზერვის განვითარებისა და მართვის კონცეფციის პროექტი და შემუშავდა „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.

რეზერვის და მობილიზაციის ახალი სისტემის მთავარი სიახლე აქტიური სარეზერვო სამსახურის ფორმის შემოღებაა. აქტიური სარეზერვო სამსახური ნებაყოფლობითობის პრინციპს დაეფუძნება, კონტრაქტის საფუძველზე მოხდება მოხალისეთა რეზერვში ჩარიცხვა და მათი შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფა. ამასთან, ახალ სისტემაში გათვალისწინებული იქნება საბრძოლო მომზადების თვისობრივად გაუმჯობესებული მიდგომა. დაიხვეწება სარეზერვო ძალების მართვისა და კონტროლის სისტემა და შემცირდება ბიუროკრატიული პროცედურები, რაც მინიმუმამდე დაიყვანს სამობილიზაციო დროს.



აქტიური სარეზერვო სამსახური შედგება „სამხედრო ძალების“ რეზერვისგან, „ტერიტორიული რეზერვისგან“ და „სპეციალისტთა რეზერვისგან“. რეზერვის ეს სამი კატეგორია დაკომპლექტდება შესაბამისად: სამხედრო სამსახურგამოვლილი პირებით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები პირებით და სპეციალური სპეციალობების მქონე მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირებით. სწორედ აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფს სამხედრო ძალების უმცირეს დროში გაძლიერებასა და მხარდაჭერას მაღალი საბრძოლო მომზადების მქონე რეზერვისტებით, ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზების ხელშეწყობას და სამხედრო ძალების წინაშე არსებული სპეციალური მოთხოვნებისა და ამოცანების გადაჭრას. 2018-19 წლებში დაგეგმილია რეზერვის საპილოტე პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს აქტიური რეზერვის ორი ასეულის გაწვრთნას.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ხედვით, რეზერვის და მობილიზაციის სისტემის რეფორმირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სვანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლას. ეს ქვეყნები მსგავსი უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დგანან და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა უწევთ.

2.3. სავალდებულო გაწვევა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაახლა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა. განახლებული სამხედრო სავალდებულო სამსახურის სისტემა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის პროცესში მოსახლეობის ფართო ჩართულობის მისაღწევად და ტოტალური თავდაცვის ეფექტურად განხორციელებისთვის. ამ დროისათვის უკვე დაინერგა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე. კერძოდ, სამკვირიანი საბაზისო მომზადების ნაცვლად, თითოეული ახალწვეული



საკონტრაქტო პროფესიული სამხედრო მოსამსახურის მსგავსად გადის საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს და მონაწილეობს შემდგომ საბრძოლო წვრთნებში. ამასთან, გაიზარდა ახალწვეულთა დასვენების დღეების ოდენობა და სახელფასო ანაზღაურება. შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულთა ჩარიცხვა ხდება საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის შედეგად. ამჟამად ჩარიცხული ახალწვეულები საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლის შემდეგ გადანაწილებულნი არიან და სამხედრო მოსამსახურეს გადიან შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში. ახალწვეულთა საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევა გაგრძელდება 2018 წელსაც. 2018 წელსვე დაგეგმილია ახალქალაქში საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ახალწვეულთა მომზადების შესაძლებლობებს.

3. ინსტიტუციური განვითარება

3.1. სამხედრო განათლება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს აკადემიურ და პროფესიულ სამხედრო განათლებას სასკოლო საფეხურიდან სტრატეგიულ დონემდე. აღნიშნული სისტემა შექმნილია ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან მაღალი დონის ქართველი და უცხოელი სპეციალისტები და ინსტრუქტორები. სამხედრო განათლების სისტემის გამართული ფუნქციონირება უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიულ განვითარებას და ხელს შეუწყობს მათ სამხედრო კარიერულ წინსვლას.

2018 წელს თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს ყველა იმ საჭირო ღონისძიების განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია კადეტების ზოგადი განათლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების ჩატარებისათვის. შესაბამისად, 2018 წელს ყველა



კადები უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით, სამედიცინო მომსახურებით, კვებით, უნიფორმითა და სასწავლო ინვენტარით. სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და თანამედროვე სტანდარტებთან ადაპტირების მიზნით, 2018 წელს ყურადღება გამახვილდება ტექნიკურ მიმართულებაზე, რომლის ფარგლებშიც ასევე, დასრულდება სიმულაციის ცენტრის მშენებლობა.

2018 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ოფიცრის საწყისი სამხედრო და საბაკალავრო განათლების, ოფიცრის შუალედური სამხედრო და სამაგისტრო განათლების გაუმჯობესებას. დაიწყება მუშაობა ოფიცრის მაღალი სამხედრო განათლების პროგრამის მომზადებაზე, გაგრძელდება საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება და გაღრმავდება პარტნიორული ურთიერთობები უცხო ქვეყნების საუკეთესო სამხედრო და სამოქალაქო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. წლის განმავლობაში მოხდება როგორც უცხოელი ინსტრუქტორებისა და შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა, ასევე მსმენელების/იუნკერების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების სტაჟირება, მივლინება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.



2018 წელს მუშაობა გაგრძელდება „თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ინგლისური ენის დამატებითი საშუალო ენად დამკვიდრების გრძელვადიან სტრატეგიაზე“, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებს უზრუნველყოფს შესაბამისი უნარებითა და შესაძლებლობებით, იმისთვის, რომ უფრო მეტი ინტენსიურობით და სრულფასოვნად იმოქმედონ საერთაშორისო დონეზე. ამასთან, გაგრძელდება ენობრივი მომზადების პროგრამების დახვეწაც.

„საერთაშორისო მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის“ დანერგვის მიზნით, 2018 წელს წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო საჯარო ცენტრში დაგეგმილია სასწავლო მასალის ინგლისურად მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მანევრის კაპიტნის საკარიერო სკოლასთან (Fort Benning) მემორანდუმის გაფორმება, CUBIC-ის თავდაცვის გამოყენებითი სისტემის ჯგუფიდან მრჩეველის მოწვევა და ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება.

2018 წელს სერჟანტთა მომზადების ცენტრში ჩამოყალიბდება სერჟანტთა განათლების მე-3 საფეხურის სამეთაურო-საშტაბო კურსი და თავად ცენტრი ტრანსფორმირდება სერჟანტთა მომზადების აკადემიად, სადაც სერჟანტებს საშუალება ექნებათ მიიღონ სამხედრო პროფესიული განათლება ბრიგადის დონის (მთავარი სერჟანტის) ჩათვლით.

ამასთან, 2018 წელს, საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში, ფრანგულ მხარესთან თანამშრომლობით, სამთო ტექნიკაში მომზადდებიან საჩხერის სამთო მომზადების ინსტრუქტორები.

პროფესიული განვითარება - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIBS)

2018 წელს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ბაზაზე საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით გაგრძელდება ნატოსთან თავსებადი ადგილობრივი სასწავლო კურსების ჩატარება და პირველად ჩატარდება რეგიონული სასწავლო კურსი. ასევე, დაინერგება თანამედროვე სასწავლო მეთოდოლოგიები და მოხდება დისტანციური სწავლების სასწავლო მოდულების ჩამოყალიბება/ინტეგრირება საერთო სასწავლო



ციკლში. სკოლის საქმიანობის ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში რეგულარულად გაიმართება შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოებასთან თავდაცვისა და უსაფრთხოების აქტუალური საკითხების განხილვის მიზნით.

3.2. ადამიანური რესურსების მართვა

თავდაცვის სამინისტროში 2017 წელს დაიგეგმა და 2018 წლის განმავლობაში დასრულდება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების ტრანსფორმაცია, კარიერის მართვის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების გათვალისწინებით. პროცესის ფარგლებში მოხდება სამოქალაქო ოფისისა და გენერალურ შტაბში არსებული დეპარტამენტების ფუნქციური ოპტიმიზაცია და სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის შექმნა. 2018 წელს ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით ტრანსფორმაციის პროცესი მოიცავს:

- გენერალური შტაბის J1 დეპარტამენტის მიერ შეიარაღებული ძალების პერსონალის დაგეგმვის და მზადყოფნის კრიტერიუმების დადგენას;
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებას პერსონალის მართვის პროცესში;
- სამხედრო პერსონალის მართვის, მათ შორის რეკრუტირების, პროფესიული განვითარების, კარიერის მართვისა და დათხოვნის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცედურების განხორციელებას.

3.2.1. გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება

თავდაცვის სამინისტრო აქტიურად განაგრძობს გენდერულ საკითხებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეზოლუციების განხორციელების კუთხით ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. ამ მიზნით სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან. ამასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალის ფარგლებში (SEDM), 2018 წლიდან საქართველო გახდება პროექტის „ხელმძღვანელი ქალების როლი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში“ ლიდერი ქვეყანა.

2018-2020 წლებში დასრულდება შეიარაღებულ ძალებში გენდერული მრჩეველების ფუნქციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. აქტიურად გაგრძელდება გენდერული თანასწორობის და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 და შემდგომი რეზოლუციების სწავლების, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში გადასროლისწინა მომზადებისა და თავდაცვის სფეროში არსებულ ყველა საგანმანათლებლო და საკარიერო კურსის პროგრამებში ინტეგრირება. გაფართოვდება საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური მომზადებისა და რეაბილიტაციის პროგრამებში ოჯახური ძალადობის თემატიკა.

თავდაცვის სამინისტროში ნატოს „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით, 2018 წლიდან დაიწყება თავდაცვის სამინისტროს, მთავრობის ადმინისტრაციის, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის (DCAF) ცენტრის, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის ერთობლივი პროექტი ორგანიზაციული კლიმატის კვლევისა და შეფასების შესახებ. პროექტი თავდაცვის სამინისტროში ორგანიზაციული გარემოს შეფასების შესაძლებლობების განვითარებას შეუწყობს ხელს და თავდაპირველად ფოკუსირებული იქნება გენდერულ ასპექტებზე, ხოლო შემდგომ კვლევის არეალი გაფართოვდება და მოიცავს ეთიკის, კეთილსინდისიერების, მორალის, სამუშაო პირობებსა და სხვა მიმართულებებს.

3.2.2. კეთილსინდისიერების ამაღლება და ანტიკორუფციული გარემოს გაძლიერება


თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას და ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამაში აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული მისწრაფების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროში შექმნილია კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული

გარემოს მონიტორინგის საბჭო. მისი საქმიანობის პროცედურული სრულყოფისთვის მომზადდება საბჭოს დებულება, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურებსა და პასუხისმგებლობებს. ამავე მიზნით, ნატოს მხარდაჭერით განხორციელდება რიგით მეორე ანტიკორუფციული გარემოს თვითშეფასების პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს მოწყვლადი პროცესების გამოვლენას, ანალიზს, კორუფციული რისკების შემცირებისკენ მიმართული კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვას და შესაბამის სამოქმედო გეგმაში ასახვას. კეთილსინდისიერების, ეთიკური აზროვნებისა და ანტიკორუფციული ცნობიერების ამაღლების მიზნით, ადამიანური რესურსების დეპარტამენტისა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ერთობლივი ძალისხმევით მოხდება არსებული სასწავლო კურსის შემდგომი განვითარება და ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე რეგიონული მასშტაბით მისი პარტნიორებისათვის შეთავაზება.

3.3. თავდაცვის რესურსების მართვა

ნატოსთან მაქსიმალური თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით, თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისათვის გამოყოფილი თანხის ეტაპობრივ ზრდას. ოპტიმიზაციის ფარგლებში, ამ მიმართულებით თავდაცვის სამინისტრომ უკვე გადადგა კონკრეტული ნაბიჯები და 2018 წლის თავდაცვის ბიუჯეტში ძირითადი შეიარაღების სისტემების შესყიდვების ხვედრითი წილი 20%-მდე გაზარდა (იხ. გრაფა 1.1).

გრაფა 1.1: თავდაცვის ბიუჯეტი (ჭერს ზევით და ჭერის ფარგლებში)



აღსანიშნავია საქართველოს სტრატეგიული მოკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების კუთხით. აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსებით (FMF), მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP) მონაწილე ქართული

საბრძოლო ქვედანაყოფების აღჭურვა და მომზადება ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ. ამავე დახმარების ფარგლებში მოხდება საბრძოლო მომზადების ცენტრის აღჭურვა თანამედროვე სიმულაციური და საწვრთნელი ტექნოლოგიებით, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქართველი სამხედროების მომზადების ხარისხს. ამავე დროს, აღნიშნული დახმარება ფარავს სოციალური მხარდაჭერისა და სამხედრო განათლების მიმართულებებს. აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსებით ხორციელდება წეროვანში მდებარე სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა და მისი აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო-სარეაბილიტაციო აპარატურით, რომელიც მოემსახურება დაჭრილ და დაზარალებულ სამხედრო მოსამსახურეებს.

აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში ხორციელდება ამერიკელი კონტრაქტორი კომპანიების „General Dynamics Information Technologies“ და „Cubic Application inc“ მრჩეველთა ჯგუფების დაფინანსება, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი არსებული კონცეპტუალური ბაზის დახვეწის, რესურსების მართვის, სამხედრო განათლების, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში.

2018 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 802 მლნ. ლარს. აღნიშნული რესურსი გადანაწილებულია 10 პროგრამაზე, რომელიც ასევე მოიცავს „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას“. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2%-ს, (იხ. გრაფა 1.2).

გრაფა 1.2: თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტი

კოდი	პროგრამის დასახელება	2018
		მლნ. ლარი
29 01	თავდაცვის მართვა	312.24
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	43.45
29 03	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	54.60
29 04	მართვის, კონტროლის, კ/გაზმულობისა და კომპიუტერული სისტემები	9.54
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	21.00
29 06	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	40.45
29 07	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	28.32
29 08	თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება / განვითარება	128.25
29 09	ლოგისტიკური უზრუნველყოფა	142.16
29 10	შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება	22.00
		802.00

აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება მყარ წინაპირობას შექმნის გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილი შეიარაღებული ძალების განვითარებისათვის. თანხები გადანაწილდება შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და შესაძლებლობების განვითარების რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

- სამანევრო ქვედანაყოფების ნატოსთან თავსებადი ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვა;
- საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ჯავშანსაწინააღმდეგო და კონტრმობილურობის შესაძლებლობების გაზრდა;
- საცეცხლე მხარდაჭერის სისტემებისა და საშუალებების განვითარება;
- სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების გაზრდა;
- დაზვერვის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვითი შესაძლებლობების სათანადო და მუდმივი განვითარება მოითხოვს თავდაცვისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ეტაპობრივ ზრდას.

3.4. კიბერუსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვისა და მუდმივი განვითარების მიზნით, თავდაცვის სფეროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში იგეგმება ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცირის ინსტიტუტის შექმნა და ISO/IEC 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა. ამასთან, გაგრძელდება ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებაზე თავდაცვის სფეროს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. ამისათვის იგეგმება კიბერცნობიერების (კიბერპიგიენის) ამაღლების ელექტრონული სწავლების პლატფორმის დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ეფექტიანი, მართივად ხელმისაწვდომი და მოქნილი სისტემა.

კიბერინციდენტების პრევენციის, აღმოჩენისა და მათზე დროული რეაგირების მიზნით, ბიურო გეგმავს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოხდეს თავდაცვის სფეროს ინფორმაციული სისტემების 24/7 რეჟიმში მონიტორინგი. პროგრამა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქსელური ინფრასტრუქტურის მთლიანობის დაცულობას, კიბერუსაფრთხოების იდენტიფიცირებას და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შემცირებას.

4. თავდაცვის შესაძლებლობები

საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება ხორციელდება უწყვეტად. შესაძლებლობების განვითარების დაგეგმვისას ყურადღება მახვილდება ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და არსებული რესურსების ხელმისაწვდომობაზე. საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა არ მიმდინარეობს იზოლირებულად, ხოლო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თავსებადობის გაუმჯობესება ხორციელდება ეტაპობრივად, მათთან დამკვიდრებული სხვადასხვა თანამშრომლობის ფორმატებში. საქართველოს შეიარაღებული ძალები გააგრძელებენ

ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. ამავე დროს, ქვეყნის თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად მზადყოფნის ამაღლება დარჩება თავდაცვის სამინისტროს მთავარ პრიორიტეტად.

2018 წელს ყურადღება გამახვილდება ერთი მხრივ არსებული შესაძლებლობების შენარჩუნებაზე, ხოლო მეორე მხრივ, პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებაზე. კერძოდ, განსაკუთრებული ძალისხმევა იქნება მიმართული ჯავშანსაწინააღმდეგო, საჰაერო თავდაცვის, საჰაერო-სატრანსპორტო, დაზვერვისა და არტილერიის შესაძლებლობების, მართვის, კონტროლის, კომუნიკაციებისა და კომპიუტერული მხარდაჭერის სისტემების განვითარებაზე. ასევე, ყურადღება გამახვილდება „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში“ (GDRP) ჩართული სამხედროების მომზადების გაუმჯობესებაზე. პროგრამა გახდება საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგრადობის ქვაკუთხედი, რომლებმაც უნდა შეძლონ მათ წინაშე დასმული ამოცანების შესრულება ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გამოწვევებზე საპასუხოდ.

4.1. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP)

„საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა“ ხორციელდება ამერიკელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მხარდაჭერით, რაც საბოლოო ჯამში აამაღლებს საბრძოლო მზადყოფნის დონეს და დადებითად აისახება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებაზე. უფრო კონკრეტულად, მისი მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ქვედანაყოფების მზადყოფნის დონის ამაღლება ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე, უზრუნველყოფს მათი დაკომპლექტების, წვრთნისა და აღჭურვის შესაძლებლობების



განვითარებას.

GDRP-ის სრულფასოვანი იმპლემენტაციისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები ჯერ კიდევ 2017 წელს განხორციელდა. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მოხდა კონკრეტული ქვედანაყოფების განსაზღვრა და დაიწყო მათი მოსამზადებელი ტრენინგები. პროგრამის აქტიური ფაზა დაიწყება 2018 წლის გაზაფხულზე და დასრულდება 2021 წელს. ყურადღება გამახვილდება ქვედანაყოფების სრულად დაკომპლექტებაზე. განხორციელდება პროგრამაში ჩართული სამხედრო ბატალიონების უნიფორმის, ინდივიდუალური აღჭურვილობის და საბრძოლო მომზადებისათვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენა. ამისთვის, შესაბამისი ზომები რესურსების გამოყოფის თვალსაზრისით ჯერ კიდევ 2017 წელს გატარდა. გარდა ამისა, მიღწეული შეთანხმებით, პროგრამაში მონაწილეობისთვის

აუცილებელი აღჭურვილობისა და სერვისების შეძენა განხორციელდება მათ შორის ამერიკული სამხედრო დაფინანსების მეშვეობით. ამერიკელი პარტნიორების დახმარებითვე მოხდება საბრძოლო მომზადების ცენტრის აღჭურვა თანამედროვე სიმულაციური და საწვრთნელი ტექნოლოგიებით. 2018 წლის განმავლობაში სამინისტრო რეგულარულად უმასპინძლებს ამერიკელ ექსპერტებს.

4.2. საჰაერო თავდაცვა

საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობა გამოიკვეთა 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შეფასების შედეგად, რაც გულისხმობს თანამედროვე საჰაერო თვალთვალისა და საჰაერო თავდაცვის საშუალებების განვითარების აუცილებლობას. შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ამ მიმართულების განვითარება მიმდინარეობს ეტაპობრივად. საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით ხელი მოეწერა კონტრაქტს ფრანგულ მხარესთან. ამ დროისათვის განხორციელდა ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის სამტატო-სტრუქტურული რეორგანიზაცია, შერეული საავიაციო ესკადრილიის რეორგანიზაცია და სხვა ღონისძიებები. 2018 წელს ყურადღება გამახვილდება საჰაერო თავდაცვის ახალი შესაძლებლობებისთვის საჭირო პერსონალის და ინფრასტრუქტურის მომზადებაზე, ნატოს სტანდარტების შესაბამისი საჰაერო ოპერაციების ცენტრის ჩამოყალიბებაზე და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარებაზე. 2018 წელსვე დასრულდება ფრანგულ მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულების პირველი სამწლიანი ფაზა, რომლის ჯამური მოცულობა 204 მილიონ ლარს შეადგენს.

4.3. საჰაერო-სატრანსპორტო შესაძლებლობების გაუმჯობესება

ავიაციის შესაძლებლობების განვითარება განხორციელდება გამოკვეთილი საჭიროებებისა და სირთულეების გათვალისწინებით იმისათვის, რომ სმძ-ის საჰაერო-სატრანსპორტო საშუალებებს შეეძლოთ საბრძოლო მოქმედებების ლოგისტიკური მხარდაჭერის, რეკოგნოსცირების ან/და სამედიცინო ევაკუაციის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სამძებრო-სამაშველო ოპერაციების წარმოება ან/და ბუნებრივ ან ტექნოგენურ კატასტროფებზე რეაგირება სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოების მომართვის საფუძველზე.

2018 წელს დასრულდება შეველმფრენების გარემონტება, რომლებიც საჭიროა თავდაცვის გეგმით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად. გადამზადდება პერსონალი და შემუშავდება უპილოტო საფრენი აპარატების შესაძლებლობის განვითარების გეგმა.

4.4. ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით, 2018 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შეიძენს “ჯაველინის” ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

4.5. საინჟინრო შესაძლებლობები

სამანევრო ქვედანაყოფების თანამედროვე საინჟინრო (კონტრმობილურობის) საშუალებებით აღჭურვა გაგრძელდება შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებშიც. მომავალ წლებში გაგრძელდება მუშაობა საინჟინრო (კონტრმობილურობა) შესაძლებლობების განვითარებაზე. 2018 წელს დაგეგმილია კონტრმობილურობის კონცეფციის ჩამოყალიბება, შესაბამისი დოქტრინების განვითარება და ძალთა რეორგანიზაცია. მომავალ წლებში, ასევე დაგეგმილია შესაბამისი სწავლებების ჩატარება, სამეთაურო რგოლის გადამზადება, საინჟინრო აღჭურვილობის, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის განახლება.

4.6. დაზვერვა

2018 წელს გაგრძელდება შეიარაღებული ძალების გრძელვადიანი განვითარების ერთიანი გეგმის ფარგლებში სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარება, რაც გულისხმობს არსებული სტრუქტურების ოპტიმიზაციას და არსებულ საშუალებებზე მორგებას, ახალი, მაღალტექნოლოგიური საშუალებების (უპილოტო საფრენი აპარატების, რადიოდაზვერვის მოწყობილობების, სახმელეთო რადარების, ელექტრო-ოპტიკური მოწყობილობების) დანერგვასა და მათ ეტაპობრივ განვითარებას.

მოხდება დაზვერვის სერჟანტთა განათლების განვითარება და სერჟანტთა განათლებისა და კარიერული განვითარების ერთიან სისტემაში ინტეგრაცია. სადაზვერვო შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესებისთვის, ასევე შემუშავდება დაზვერვის ტრანსფორმაციის გეგმა და კონცეპტუალური ბაზა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება ტაქტიკური დონის სავსე და საწვრთნელი სახელმძღვანელოები, მოხდება არსებული დოქტრინების განახლება და ახალი დოქტრინების დანერგვა, მათ შორის:

- ჰიბრიდულ მოქმედებებზე რეაგირებისთვის მომზადება;
- გაერთიანებული დაზვერვა (ოპერატიული და სტრატეგიული უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძვლები) და ოპერატიული გარემოს გაერთიანებული სადაზვერვო მომზადება;
- ტაქტიკურ დონეზე ოპერაციების უსაფრთხოებისა და ინფორმაციის შეგროვების საფუძვლების დოქტრინები.

2018 წელს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში ჩამოყალიბდება დაზვერვის სპეციალიზებული სასწავლო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს სამხედრო დაზვერვის პერსონალის მომზადება-გადამზადებას დაზვერვის სხვადასხვა მიმართულებებით.

4.7. არტილერია

არტილერიის შესაძლებლობების განვითარების ფარგლებში დაგეგმილია საარტილერიო ქვედანაყოფების რეორგანიზაცია და სტრუქტურული ოპტიმიზაცია. რეორგანიზაციის მიზანია ქვეითი ბრიგადების სამანევრო საცეცხლე შესაძლებლობების გაზრდა, ქვეით ბრიგადებში ბუქსირებადი საარტილერიო სისტემების ჩანაცვლება თვითმავალი საარტილერიო სისტემებით და შეიარაღებიდან მოძველებული ბუქსირებადი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების

მოხსნა. საარტილერიო ბრიგადების რეორგანიზაცია ითვალისწინებს თანამედროვე, ნატოს სტანდარტების საარტილერიო სისტემებზე ეტაპობრივ გადასვლას და საარტილერიო ქვედანაყოფების დაკომპლექტებას გამოთავისუფლებული სპეციალისტებით.

4.8. სპეციალური ოპერაციების ძალები

საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და განსაკუთრებით რუსეთის შეიარაღებულ ძალების პოტენციალისა და ჰიბრიდული მეთოდებით ბრძოლის წარმოების მზადყოფნის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქნილობის, ასიმეტრიული მოქმედებისა და სპეციალური ოპერაციების ჩატარების, მათ შორის მცირე ჯგუფებით ავტონომიურად მოქმედების უნარი. შესაბამისად, 2018 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდება სპეციალური ოპერაციების ძალებში არსებული საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდისა და სტრუქტურული გაუმჯობესების მიზნით.

4.9. მართვა, კონტროლი, კავშირგაბმულობა და კომპიუტერული სისტემები

2018 წლის კიდევ ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციული სისტემების სუბიექტების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც მოიცავს:

- ნატოსთან ურთიერთთავსებადი სტაციონარული და დისლოცირებადი კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების აგებას;
- კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავებას და მათ ეტაპობრივ დანერგვას;
- ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის სისტემის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

5. ლოგისტიკა და ინფრასტრუქტურა

საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც მშვიდობიანობისა და წვრთნებისა და სამხედრო სწავლებების ჩატარების დროს, ისე კრიზისული ვითარების თუ თავდაცვითი ოპერაციების წარმოებისას. აღნიშნული გულისხმობს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკურ მხარდაჭერას საჭირო მარაგებით, ტრანსპორტით, სარემონტო და სხვა მომსახურებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა, შეიარაღებული ძალების მხარდაჭერისა და სხვადასხვა ადმინისტრაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. მზადყოფნის ღონის ამალგებაზე დადებითად აისახება საწვრთნელი პოლიგონების, სასროლეთების, კვების ობიექტებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის სათანადო ღონეზე შენარჩუნება და გაუმჯობესება. 2018 წლის პრიორიტეტად განისაზღვრა საარტილერიო, საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო-სატრანსპორტო შესაძლებლობების შენარჩუნება.

5.1. ლოგისტიკური მხარდაჭერა

შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური მხარდაჭერის ფარგლებში მოხდება საბრძოლო მასალის (გარდა საბრძოლო მომზადებისთვის) და სხვადასხვა პირველადი მოხმარების საგნების შეძენა, განხორციელება სამხედრო (საბრძოლო) ტექნიკის რემონტი და სათადარიგო ნაწილების მარაგების შექმნა. ამასთან, გაგრძელდება საქართველოს „მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესაძლებლობების“ გაუმჯობესება და მიღების, განთავსებისა და გადაადგილების საშუალებების შექმნა, რაც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს.

5.2. ინფრასტრუქტურული პროექტები

2018 წელს გაგრძელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურული ობიექტების, კერძოდ კვების ობიექტების, საყოფაცხოვრებო, საწვრთნელი ბაზის ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი ბინების, საინჟინრო კომუნიკაციების და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება. მათ შორის, დაგეგმილია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) საწვრთნელი ბაზის დასრულება. ასევე იგეგმება კრწანისის საერთო საჯარისო ცენტრის ინფრასტრუქტურული სამუშაოების დამთავრება. ამასთანავე, დასრულდება ძირითადი სამუშაოები ვაზიანისა და ორფოლოს სამხედრო პოლიგონებზე. გაგრძელდება აქტიური ინფრასტრუქტურული სამუშაოები საერთო წვრთნებისა და შეფასების ცენტრის (JTEC), ხონის სამხედრო ბაზისა და დაზვერვის დეპარტამენტის ცენტრალური ოფისის მოსაწყობის მიზნით. ამისათვის, შემუშავებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესაბამისად, მოხდება სათანადო დაფინანსების გამოყოფა.

ინფრასტრუქტურის დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, მოკლევადიან პერსპექტივაში გენერალური შტაბის J-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტში ჩამოყალიბდება ინფრასტრუქტურის დაგეგმვის სტრუქტურული ერთეული, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის ძირითადი მიზანი არსებული მდგომარეობის შეფასება და ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება იქნება.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მხარდაჭერა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით, 2018 წელს, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება შეიარაღებული ძალების, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, პენსიონერთა, მათი ოჯახის წევრთა, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებაზე. საჭიროების შემთხვევაში მოხდება დაშავებულ პირთა ამბულატორიული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია.

2018 წელს ასევე გაგრძელდება დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებები. ამასთან, განხორციელდება სამინისტროს სისტემაში მისაღები კანდიდატების, მისიაში მიმავალი ან

დაბრუნებული პერსონალის ფსიქოლოგიური შერჩევა-მონიტორინგის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის, სუიციდის პრევენციის ფარგლებში ფსიქოლოგიური შემოწმების, დაჭრილ-დაშავებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და გრძელვადიან სამკურნალო შევსებულებაში მყოფი დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიური სკრინინგის ღონისძიებები.

ყურადღება დაეთმო სამხედრო სამედიცინო შესაძლებლობების განვითარებას, მოხდება მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ეტაპობრივი ჩანაცვლება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. 2018 წელს ასევე დასრულდება სამხედრო ჰოსპიტალის მშენებლობა ქუთაისში და მოხდება წეროვანის ცენტრის ახალი სამედიცინო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

7. საერთაშორისო თანამშრომლობა

7.1. საერთაშორისო ორგანიზაციები

ევროკავშირი (EU)/ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგი (2017-2020)

2018 წელს გრძელდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში თავდაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება. ამ კუთხით აქცენტი გაკეთდება ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში ევროკავშირის მისიებში საქართველოს მონაწილეობაზე, კომერსიალურ უსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებებზე, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის სამუშაო გეგმის წარმატებით იმპლემენტაციაზე. ამის გარდა, გაგრძელდება ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში მიმდინარე კრიზისების მართვის ოპერაციებში ქართველი ოფიცრებისა და ქვედანაყოფების მონაწილეობა. 2018 წლის სექტემბრამდე ქართული ოცეული მონაწილეობას გააგრძელებს ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA), ხოლო 2018 წლის მაისამდე ქართული მხარე წარმოდგენილი იქნება მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali) შტაბის ერთი ოფიცრით.



გაერო (UN)

2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება საქართველოს მიერ გაეროში ისეთი ყოველწლიური ინფორმაციის გავრცელება, როგორიცაა ინფორმაცია კონვენციური იარაღის იმპორტ-ექსპორტის შესახებ; სამხედრო ხარჯების შესახებ; ჩვეულებრივი იარაღის მეთისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ 1980 წლის კონვენციის მეორე და მეხუთე ოქმების ანგარიშები და ა.შ. გარდა ამისა, განხილული იქნება გაეროს სამშვიდო ოპერაციებსა და მისიებში, გაეროს შტაბ-ბინაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე ქართველი ოფიცრების წარგზავნის შესაძლებლობა.

ეუთო (OSCE)

გაგრძელდება ეუთოსთან ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში ვადაგასული და გამოუსადეგარი სამხედრო შეიარაღების დემილიტარიზაციის პროცესი. პროექტის მეორე ეტაპის დასრულება დაგეგმილია 2018 წლის პირველი ნახევრისათვის. ასევე, გაგრძელდება საქართველოს მიერ ეუთოში ყოველწლიური ინფორმაციის გავრცელებაც. კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაეროში ყოველწლიური გასავრცელებელი ინფორმაცია გასულ წელს საქართველოს მიერ განხორციელებული მცირე და მსუბუქი შეიარაღების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ; ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ტექნიკის ტრანსფერების (იმპორტ-ექსპორტი) შესახებ; თავდაცვის დაგეგმვისა და სამხედრო ბიუჯეტის შესახებ და სხვა. ამასთან, „ღია ცის“ ხელშეკრულების ფარგლებში გაგრძელდება თანამშრომლობა ჩვერ ქვეყნებთან, რომლის მიზანია ჩვერ სახელმწიფოებს შორის არასამხედრო, სადამკვირვებლო ფრენების განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრული კვოტების შესაბამისად.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალი (SEDM)

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში გაგრძელდება თანამშრომლობა ორგანიზაციის ჩვერ ქვეყნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან საქართველო გახდება პროექტის „ხელმძღვანელი ქალების როლი უსაფრთხოებისა და



თავდაცვის სფეროში“ ლიდერი ქვეყანა. აქედან გამომდინარე, 2018 წელს დაიგეგმება მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც მოიცავს გენდერის საკითხზე კონფერენციებისა და ლექციების ჩატარებას.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში გაგრძელდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დანერგვის პროცესი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ასევე, გაგრძელდება თანამშრომლობა 90-იან წლებსა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაუდგენელ გარდაცვლილ პირთა იდენტიფიცირების კუთხით.



7.2. საერთაშორისო წვრთნები

საერთაშორისო წვრთნების ინტენსიფიკაცია, როგორც რაოდენობრივი, ისე მასშტაბის თვალსაზრისით, ხელს უწყობს შეიარაღებული ძალების მდგრადობის, შეკავების შესაძლებლობისა და ნატოსთან თავსებადობის ზრდას. საქართველოს შეიარაღებული ძალები გააგრძელებენ აქტიურ მონაწილეობას ორმხრივ და მრავალეროვნულ წვრთნებში, რაც მიზნად ისახავს თავსებადობის გაზრდას, უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების დასაძლევად მდგრადობის გაძლიერებას და სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესებას რთულ ვითარებებში თანმიმდევრული მოქმედების უნარის დასახვეწად. ამ მიზნით, 2018 წელს დაგეგმილია საერთაშორისო სწავლებების „Agile Spirit“-ისა და „Noble Partner“-ის ჩატარება. ამასთან, ქართული მხარე გააგრძელებს ინტენსიურ მუშაობას ნატოსთან 2019 წელს დაგეგმილი ნატო-საქართველოს შემდგომი ერთობლივი სწავლების ჩატარების მიზნით.



7.3. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა

პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებით გათვალისწინებული ღონისძიებები მორგებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმდინარე საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს მიმდინარე რეფორმებს და ახდენს შეიარაღებული ძალების წარმატებული ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი გამოცდილების გაზიარებას.

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად, ტრადიციულ პარტნიორებთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დგამს ნაბიჯებს ახალ პარტნიორ



ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარებისკენ. ამ ეტაპზე საქართველო ძალზედ წარმატებულად თანამშრომლობს ნატოს თვრამეტ და ალიანსის არაწევრ ხუთ ქვეყანასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში. ამავე დროს, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად ავითარებს თანამშრომლობას ნატოს გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების (EOP) ჯგუფის ფორმატში.

საქართველო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და წარმატებით ახორციელებს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ უსაფრთხოების თანამშრომლობის 2016-2019 ჩარჩო დოკუმენტის საიმპლემენტაციო ღონისძიებებს. აშშ-ს დახმარება მნიშვნელოვანია ინსტიტუციონალური დაგეგმვისა და საწვრთნელი შესაძლებლობების განსავითარებლად გრძელვადიან პერსპექტივაში მზადყოფნისა და შენარჩუნების მხარდაჭერის მიზნით. ის, აგრეთვე, საჭიროა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში კონტრიბუციისთვის აუცილებელი შესაძლებლობების შენარჩუნებისა და მათი შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

2018 და შემდგომ წლებში აშშ-საქართველოს ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა კვლავ ფოკუსირებული იქნება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამისა (GDRP) და საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) შესაძლებლობების განვითარებაზე. ამასთანავე, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, აშშ-ს სამხედრო დახმარებით, გააგრძელებს სამხედრო ტექნიკის მოდერნიზებას და აშშ-ის წარმოების ტექნიკაზე ეტაპობრივად გადასვლას.

გასული წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა თანამშრომლობა სკანდინავიურ ქვეყნებთან და კანადასთან. 2018 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გეგმავს აღნიშნული პარტნიორობის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაყვანას. საქართველო გააგრძელებს კანადასთან თანამშრომლობას სამხედრო წვრთნისა და თანამშრომლობის პროგრამის (MTCP) ფარგლებში, განსაკუთრებით სამხედრო საგანმანათლებლო





მიმართულებით. ამასთანავე, საქართველო შეუერთდა „Nordic-Baltic“-ის თანამშრომლობის ფორმატს, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების შემდგომ გაძლიერებას და პარტნიორ ქვეყნებს შორის კავშირების განმტკიცებას რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების, ინფორმაციის გაცვლისა და რეგულარული ერთობლივი სამხედრო წვრთნების მეშვეობით. 2018 წელს თავდაცვის სამინისტრო აპირებს გამოიყენოს Nordic-Baltic Assistance Program (NBAP) სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

2018 წელს, ორმხრივ ფორმატში გაგრძელდება თანამშრომლობა უკრაინასთან. კერძოდ, გაგრძელდება დაჭრილი უკრაინელი სამხედროების რეაბილიტაციის კურსები წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრში. 2015 წლიდან დღემდე 137-მა უკრაინელმა სამხედრომ გაიარა შესაბამისი კურსი წეროვანში. ამასთან, გაგრძელდება თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების მიმართულებით, იქნება ეს ნატოში ინტეგრაციის თუ სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო წვრთნა და სწავლება. დღეისათვის უკრაინელი და ქართველი სამხედროები ერთმანეთის მხარდამხარ მონაწილეობენ „Agile Spirit“, „NATO-Georgia Exercise“, „Rapid Trident“, „Sea Breeze“ სწავლებებში. 2018 წელს დაგეგმილია გამოცდილების გაზიარება სამხედრო განათლების სფეროშიც, რომლის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დაეხმარება უკრაინულ მხარეს სერჟანტთა ინსტიტუტის განვითარებაში.

ამავდროულად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად ავითარებს სამმხრივ თანამშრომლობას აზერბაიჯანსა და თურქეთთან, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებას და მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის. ამ ფორმატის ფარგლებში, იმართება რეგულარული შეხვედრები თავდაცვის მინისტრებისა და გენერალური შტაბების უფროსების მონაწილეობით და წვრთნები „Caucasian Eagle“ და „Eternity“.

დასკვნა

„მინისტრის დირექტივები 2018“ თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის ძირითად პრიორიტეტებსა და შესაბამის ღონისძიებებს ასახავს, რომელთა მიზანია ტოტალური თავდაცვის პრინციპების დანერგვით, ქვეყნის მდგრადობის უზრუნველყოფა, შეიარაღებული ძალების მზადყოფნის ღონის ამაღლება და ნატოსთან თავსებადობის გაზრდა.

საქართველო, როგორც ნატოს სტრატეგიული მოკავშირე და რეგიონის ერთადერთი ასპირანტი ქვეყანა, 2018 წელს მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. ამასთან, თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს პოლიტიკური დიალოგისა და სტრატეგიული მოლაპარაკებების პროცესს ნატოს გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობის (EOP) ფორმატში, პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

ქვეყნის მდგრადობის გაუმჯობესებისა და თავდაცვის მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით გაგრძელდება აშშ-სთან გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) აქტიური ფაზის დაწყება და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების მოდერნიზაციის მიზნით.

ტოტალური თავდაცვის, როგორც ქვეყნის მდგრადობის ფუნდამენტის უზრუნველყოფის მიზნით, თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და სხვა მექანიზმების გაუმჯობესებას. ამ თვალსაზრისით, დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება სტრატეგიული ღონის სწავლებების, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და უწყებათაშორისი სამუშაო ფორმატების გამოყენებით. ტოტალური თავდაცვის მიდგომის ფარგლებში, ასევე იგეგმება რეზერვისა და მობილიზაციის განახლებული სისტემის დანერგვა შეიარაღებული ძალების მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით.

მსგავსი საფრთხეებისა და მათზე რეაგირების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მნიშვნელოვან მიმართულებად დარჩება თანამშრომლობის გაღრმავება სკანდინავია - ბალტიის ქვეყნებთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტოტალური თავდაცვის მექანიზმების, როგორც კონცეპტუალური, ისე პრაქტიკული მექანიზმების გაზიარებას.

2018 წელს ჩატარდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო სწავლებები „Agile Spirit“ და „Nobel Partner“. აღნიშნული სწავლებები ხელს შეუწყობს, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის, ისე ქვეყნის შეკავების შესაძლებლობების გაზრდას.

საერთო ჯამში, გემოხსენებული ღონისძიებები ხელს უწყობს თავდაცვის სამინისტროს მიერ დასახული მიზნების განხორციელებას, რაც ემსახურება, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას, ისე საქართველოს აღიარებას ალიანსის წევრობის ღირსეულ კანდიდატად და სანდო საერთაშორისო პარტნიორად.







Minister's Directives

2018

CONTENTS

Introduction	40
Main Defence Policy Principles	41
Priorities for 2018	42
1. Cooperation with the North Atlantic	
Treaty Organization (NATO)	42
2. Total Defence	45
2.1. Interagency Cooperation	46
2.2. Reserve and Mobilization System	47
2.3. Conscription System	48
3. Institutional Development	49
3.1. Military Education	49
Professional Development – Defence	
Institution Building School (DIBS)	50
3.2. Human Resources Management	51
3.2.1. Integrating Gender Perspective	51
3.2.2. Building Integrity and strengthening the anti-corruption environment	51
3.3. Defence Resource Management	52
3.4. Cyber Security	53
4. Defence Capabilities	54
4.1. Georgian Defense Readiness Program (GDRP)	54
4.2. Air Defence	55
4.3. Air Mobility	55
4.4. Anti Tank	55
4.5. Combat Engineering	55
4.6. Intelligence, Surveillance and Reconnaissance (ISR)	56
4.7. Artillery	56
4.8. Special Operations Forces	56
4.9. Command, Control, Communications and Computer Support	56
5. Logistics and Infrastructure	57
5.1. Logistical Support	57
5.2. Infrastructural Projects	57
6. Healthcare and Social Assistance	57
7. International Cooperation	58
7.1. International Organizations	58
7.2. International Exercises	60
7.3. Bilateral and Multilateral Cooperation	60
Conclusion	63

FOREWORD BY THE MINISTER OF DEFENCE OF GEORGIA

Georgia is persistent in safeguarding fundamental values and liberties of democracy and is dedicated to rule-based international system, which we are contributing to with other democratic states. The democratic choice of Georgia is our greatest achievement, enabling us to pursue a foreign and domestic policy widely supported by the population and facilitating the establishment of our country as a western type democracy.

The threats we face pose a risk to the sovereign choice of our country. They go beyond the regional scope and present a challenge to global security. Given the existing security challenges, it is our duty to further advance security cooperation with our western partners and deepen our relationship with the North Atlantic Alliance. As a future member Georgia remains firmly committed to NATO democratic values and principles, most importantly to the objectives of strengthening deterrence of the Alliance and improving national defence resilience of its members.

Resilience of the country is an important aspect of deterrence and a crucial element in providing peace and security. For this purpose, we have initiated the defence transformation process, which is guided by the decisions made on the Wales and Warsaw summits.

While executing the transformation process our aim is to enhance Georgia's defence readiness, increase the interoperability of the Georgian Armed Forces with NATO standards and ensure state sovereignty. To these ends, we focus on providing effective military education and training, enhancing defence capabilities and synchronizing international initiatives - particularly SNGP and GDRP. Not least, we emphasize the importance of intensifying international cooperation, accumulating experience gained from international missions, mobilizing national defence resources and ensuring adequate funding.



Levan Izoria

INTRODUCTION

“Minister's Directives – 2018” represents a guiding document of the Ministry of Defence (MoD), General Staff (GS) and its subordinate units and is updated annually to reflect short-term planning activities in accordance with the priorities set for 2018. Activities outlined in the document are in line with the “Strategic Defence Review (SDR) 2017-2020” recommendations and strategic directions of the “White Paper 2017-2020”.

The document ensures a gradual implementation of development priorities of the Georgian Armed Forces (GAF) in the long-term and aids overcoming deficiencies identified throughout the transformation process. Overall, its aim is to facilitate the creation of efficient, mobile, modern and NATO interoperable Armed Forces.

Following the success made last year, improvement of Georgia's defence capacity will continue in accordance with the Total Defence approach as well as standards and principles of the Northern Atlantic Alliance. Considering existing threats, defence of the country is organized in accordance with the whole-of-government approach, putting proper focus on enhancement of interagency cooperation.


The material resources saved as a result of structural optimization and reorganization carried out in 2017 will be allocated for strengthening defence capabilities. Emphasis will be made on the implementation of the Georgia Defence Readiness Program (GDRP), an important initiative conducted with active support and financial assistance of the United States of America (US). Reserve and mobilization system, as well as a compulsory military service will be notably improved on a step-by-step basis. All the above mentioned activities will enhance GAF combat capabilities and a readiness level.

KEY DEFENCE POLICY PRINCIPLES

Georgia has a complex security environment. Ongoing Regional and Global processes have a large impact on Georgia's security in general and its further development. Therefore, in order to ensure security of a state it is important to analyze the risks and challenges through local, regional and global lenses.

Georgia's security environment is vulnerable due to several factors. Occupation the Autonomous Republic of Abkhazia and Tskhinvali Region by the Russian Federation, their militarization and signing so-called "alliance treaties" with de facto governments have a direct negative impact on the state security. The annexation of Crimea made situation in the Black Sea Region especially tense, while ongoing confrontation in the Eastern Ukraine along with conflicts in the Middle East, uncontrolled migration processes, international terrorism and increasing cyber attacks have additional negative impact on Georgia's security environment. Assertive, revisionist policy of the Russian Federation poses a threat to the European security architecture as well. It prompted the members of Alliance and partner states to review their respective defence systems. Thus the call to review and rearrange Georgia's defence organization was necessitated by both ongoing occupation of Georgia's territories and existing regional challenges.

In the light of the existing security challenges Georgia continues close cooperation with its Western Allies and deepens partnership with North Atlantic Alliance to strengthen deterrence capabilities and to achieve a full membership in NATO. In this process, the main objective of the MoD is to enhance defence capabilities of Georgian Armed Forces and increase its interoperability with NATO. To improve deterrence capabilities, the MoD follows decisions made during the Warsaw and Wales Summits and principles outlined in the Article 3 of the North Atlantic Treaty, which envisages improving resilience of the country on one hand and increasing the force readiness level on the other.



In addition to enhancing resilience and readiness level of Georgia, in order to improve the country's deterrence capabilities, MoD leadership introduced the "Total Defence" approach while carrying out the Strategic Defence Review process. Considering the existing threats and limited resources, this approach intends to strengthen interagency cooperation for the

coordinated and effective use of state resources and implies a thorough distribution of responsibilities among military, state agencies and wider public in case of military aggression. The new approach allows timely response to the existing challenges and threats and aims for prolonged resistance through enhanced resilience and defence capacity.

In order to respond to existing security challenges, a particular attention will be paid to improving strategic communications in the framework of the Total Defence approach. Russia's use of hybrid warfare methods, specifically the use of propaganda, poses a significant challenge to the country. In response, the MoD will actively continue improving strategic communications in 2018, which will include the communication of shared, coordinated vision of all state agencies on the importance of a state defence; strengthening the image of Georgia as a reliable partner to NATO, European Union and other partner nations, as well as strengthening the image of a country as contributor to international security and stability missions; communication the progress in the process of attaining NATO membership. Additionally, in 2018 the MoD will continue organizing national and international exercises to further improve the country's Total Defence capabilities, including its strategic communication capacity.

PRIORITIES FOR 2018

1. Cooperation with the North Atlantic Treaty Organization (NATO)

Georgia continues its integration into European and Euro-Atlantic structures that constitutes its major foreign and security policy priority. The MoD continues active cooperation with NATO by using all existing mechanisms such as the NATO-Georgia Commission (NGC), Annual National Program (ANP), Substantial NATO-Georgia Package (SNGP) and Planning and Review Process (PARP). They strengthen Georgia's defence potential, contributes to enhanced readiness and resilience, increases its interoperability with the Alliance and assists Georgia with its preparations for eventual NATO membership.



In 2018 Georgia will host high-level NATO visits and working meetings. The increased number of these visits is a demonstration of the Alliance's continuous engagement with Georgia and steady support for its Euro-Atlantic aspirations. The second visit of the Military Committee (MC) in March 2017 is a clear indication of such engagement. The visit was particularly important for Georgia's defence transformation process, especially in the light of regional security challenges.

Following the decision made at the NATO Wales Summit in 2014, the SNGP has become one of the key practical instruments for the Alliance's support to Georgia. An important component regarding implementation of initiatives defined within the SNGP is an active involvement of 28 member and two partner nations. In 2017, within the SNGP framework Denmark, Germany, Italy, Lithuania, Norway, Portugal, Turkey and the United Kingdom allocated financial resources from the Defence Capacity Building (DCB) Trust Fund to further develop Joint Training and Evaluation Center (JTEC). Additionally, Germany provided financial assistance to improve counter mobility capabilities. Financial assistance was also provided for the development of Defence Institution Building School (DIB) by Germany, Luxemburg, Montenegro, Turkey and the Netherlands, while Czech Republic and Germany have financially assisted the improvement of intelligence sharing and secure communication capabilities from the DCB Trust Fund.

Due to top priority role of the commitments undertaken within the SNGP, the MoD has introduced a comprehensive, institutional approach facilitating active involvement of other state institutions. For effective implementation of the SNGP the MoD introduced a totally innovative practice to harmonize/synchronize international assistance (bilateral and multilateral formats) with national efforts and to ensure rational allocation of all available resources, efficient execution of initiatives and, in general, achieve better management of the SNGP implementation process. To this end, in spring 2017, the Ministry conducted the first SNGP Synchronization Workshop, which received a positive feedback from international





partners. Moreover, the MoD plans to broaden this practice and aims at organizing a NATO-Georgia Substantial Package Conference before the next NATO Summit.

The SNGP represents one of the most complex yet flexible mechanisms in the history of NATO-Georgia cooperation, which enables tailoring NATO assistance and cooperation formats to the national needs of Georgia and contributes to the enhancement of NATO interoperability and country's defence capabilities.

One of the clear examples of this approach is the development of English Language capabilities as one of the priority areas. Based on the needs of the Georgian side, active consultations are already underway with NATO countries to conduct assessment of existing capabilities and introduce a way ahead to build solid institutional capacity.

It is worth noting that, in 2017 the Strategic and Operational Planning project was successfully accomplished in line with a new approach of the MoD that entails adjusting SNGP objectives and timelines to the needs of Georgia. The aim of the project was to streamline NATO procedures and planning process with the national-level strategic and operational planning, which would further strengthen interoperability aspect with NATO. The MoD continues implementing of remaining fourteen SNGP initiatives by increasing national efforts and with the support provided by relevant NATO structures, allies and partners.

Georgia will continue cooperation with the NATO aimed at strengthening security of the Black Sea region as a strategic partner of Alliance and the only aspirant country in the region. In this regard, MoD, in coordination with relevant state institutions, has developed specific initiatives and is now conducting active consultations with the Alliance member states. This will increase Georgia's engagement in NATO's efforts in terms of providing international security and amplify Georgia's role in strengthening security of the Black Sea region.

The MoD will also continue strengthening political dialogue and strategic consultations within the NATO's Enhanced Opportunities Partners framework (EOP). The initiation of



concrete steps to enhance practical cooperation with the EOP member states is being under considered. Moreover, Georgia continues active cooperation with NATO partner states in the framework of a number of programs. In 2018, Georgia plans to strengthen practical cooperation with Ukraine by sharing its successful experience regarding NATO-Georgia relations. Respectively, for the first time, in 2018 the MoD plans to participate in the aforementioned partner state in NATO's Support and Procurement Agency (NSPA) project as a contributing nation.

Georgia will continue supporting NATO efforts to ensure international peace and stability as a reliable partner and a future member of the Alliance. Currently 870 Georgian soldiers serve in a NATO-led Resolute Support Mission (RSM) in Afghanistan which makes Georgia one of the largest contributing nations. Moreover, one company size unit is engaged in the NATO Response Force (NRF) for 2015-2018 period, with another undergoing the Operational Capabilities Concept Evaluation and Feedback Program (OCC E&F). The latter will replace the former starting from 2019, upon the completion of appropriate procedures.

The successful execution of initiated and ongoing institutional reforms at the MoD, consistent development of defence capabilities and Georgia's contribution to international security efforts are positively regarded by the Alliance and strengthens Georgia's position as a reliable partner and future member of NATO.

2. TOTAL DEFENCE

At a strategic level, one of the main functions of the MoD is to conduct defence policy in accordance with domestic and foreign policy objectives directed by the Parliament and the Government of Georgia. The MoD also participates in the defence planning process through various interagency formats.

In order to implement Total Defence approach, it is vital to reflect Total Defence principles in Georgia's defence and security conceptual framework and review it upon necessity. The



capability analysis of the Defence System and the Armed Forces will be initiated in 2018. The results will be reflected in the “National Defence/Military Strategy”. The document will become the main military-political document of the country, in accordance with the Total Defence Concept and to ensure state defence it will outline operational principles of the GAF, long-term vision and tasks for other state agencies.

2.1. Interagency Cooperation

Organizing total defence is impossible without the well-functioning interagency coordination efforts. Therefore, considering existing threats and limited funding, enhancing interagency cooperation is vital for effective and coordinated use of national resources. Relying on a whole-of-nation approach, the MoD elaborated an agency-level “Total Defence Concept”, which in addition to military element, outlines other vital spheres for the organization of state defence such as Social, Economic, Civil and Psychological-Informational. In this regard, it is especially important to put into practice solid coordinating mechanisms in times of crisis and war, develop resilient Reserve and Mobilization System and enhance the effectiveness of the conscription system. Principles identified in the “Total Defence Concept” will be reflected in the “National Defence/Military Strategy”, which outlines the tasks and ways to achieve the objectives for each state agency.

In order to improve inter-agency cooperation, the MoD continues to participate in joint exercises and training. To this end, introductory visits among agencies involved in defence and security field have already begun. In 2017, the MoD hosted representatives of Special and Emergency Measures Center of the Ministry of Internal Affairs and organized Command Post Exercise “Didgori 2017”. In accordance with the General Defence Plan, the exercise entails participation of other state agencies in war, crisis and emergency situations and is focused on improving coordination and strategic communication with other entities. Following the successful completion of “Didgori 2017”, the MoD plans to organize another Command Post Exercise – “Didgori 2018”, which will involve high-ranking officials based on the experience gained during the “Didgori 2017”.

For thorough implementation of Total Defence approach, the MoD works toward enhancing cooperation with Scandinavian and Baltic states in bilateral and multilateral formats. In



2018, concrete measures will be implemented to establish coordinating mechanisms for the Scandinavia-Baltic-Georgia cooperation framework.

2.2. Reserve and Mobilization System

In the framework of “Total Defence” approach, the MoD implemented important measures to qualitatively improve Reserve and Mobilization System. In this direction, first steps were taken in 2017. The draft of the existing concept on Reserve and Mobilization system and the draft Law on the Military Reserve and Military Reserve Service have been elaborated. The major update of the new system on Reserve and Mobilization is the introduction of active reserve system. The latter is based on a voluntary participation and entails contract-based recruitment with remuneration for the servicemen/servicewomen. Additionally, the new



